საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის პროგრამების ანგარიში

2026 წლის 1 იანვარი - 30 ივნისის მდგომარეობით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ – 30 07

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: <u>**თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**</u>

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 07	<u>საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება</u>	10 000,0	10 000,0	6 362.10	63.6%	18 715.88

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- **გადაუდებელი დახმარების ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“**

2026 წლის 1-ელი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოპერატორებმა **1 746 703** ზარს უპასუხეს. მიღებული ზარები დამუშავდა და საჭიროებისამებრ გადაეცა შესაბამის მომიჯნავე სამსახურებს.

- **საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრი**

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრის მიერ ჯამში გადამზადდა – **183** პირი.

- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“-ში მისაღებ კანდიდატთა საბაზისო ტრენინგი – 44 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი „სუიციდის პრევენცია“ – 49 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,ზარის მართვა“ – 15 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,სტრესისა და ემოციების მართვა“ – 3 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ტრენინგი ,,არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) პირის მიერ განხორციელებული ზარის მართვა“ - 21 მონაწილე;
- ✓ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ქოლ-ცენტრის თანამშრომელთა ,,ოპერატორთა კვალიფიკაციის ამაღელბის ტრენინგი“ – 22 მონაწილე;
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლეთა ტრენინგი ,,ეფექტური კომუნიკაციის როლი მომსახურების სფეროში“ – 29 მონაწილე.

- **ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება**

საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟდა - 920 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა და 87 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ამოქმედდა 34 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 94კმ-ს . ჯამურად, ქვეყნის მასშტაბით დამონტაჟებულია - 9 893 ვიდეოკამერა, საიდანაც, 7 291 არის ზოგადი ხედვის, ხოლო, 2 602 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა; ქვეყნის მასშტაბით ამოქმედებულია - 692 სიჩქარის კონტროლის სექცია, რომელიც ფარავს 2 421კმ-ს;

- **ელექტრონული მონიტორინგის სისტემა**

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესდა - 14 მოძალადეს. ხოლო სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობა დაკანონდა 14 შემთხვევაში.